

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის ქტულურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. წამოწი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

ჭიათურის მანგანუმის გამამდირებელი საწარმო და გარემოსდაცვითი პრობლემები

ჭიათურის მანგანუმის საბადო

სპეციალისტების შეფასებით, საქართველოში არსებული მანგანუმის საბადოები გამოირჩევა მადნის მაღალი ხარისხით, დიდი სამრეწველო მარაგით და მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით. ჭიათურის საბადოს ექსპლუატაცია ჯერ კიდევ 1879 წელს დაიწყო. XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან გამოჩნდა არაერთი საქმოსანი, რომელიც იტარებდა ან შესყიდვის გზით ცდილობდა ხელში ჩაეგდო მადნიანი მინის ნაკვეთები. მსოფლიო ბაზარზე მანგანუმზე მოთხოვნილების ზრდის გამო, მადნის მოპოვება ჭიათურაში სწრაფად გაფართოვდა. მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ჭიათურაში უფრო მძლავრი იყვნენ ფრანგული და ინგლისური კაპიტალის წარმომადგენლები. მომდევნო პერიოდში გერმანული კაპიტალი გაძლიერდა. რუსული სამრეწველო კაპიტალი ჭიათურაში XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს გამოჩნდა. ამ დარგს რუსეთი მხოლოდ თავისი ვინრო ფისკალური და მეტროპოლიის (ნიკოპოლის) მარგანეცის მრეწველობისათვის მფარველობის ინტერესით უდგებოდა და ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის წინსვლას შეგნებულად აბრკოლებდა.

საბჭოთა რუსეთის მიერ კავკასიის ანექსიის შემდეგ, ლენინის მთავრობამ აქტიურად დაიწყო კავკასიის ქვეყნების ეროვნული სიმდიდრეების ათვისება. 1921 წლის 30 მარტს, ანუ საქართველოს სრული ანექსიიდან მალევე, ლენინი პოლიტბიუროს სახელით აგზავნის თბილისში დეპუტას: "... ყველანაირად ვცადეთ განაახლოთ ძველი კონცესიები, რაც შეიძლება სწრაფად და ყველა საშუალებების გამოყენებით შეეცადეთ გასცეთ ახლები...". "ჩვენ [საბჭოთა რუსეთს] გვჭირდება ბაქოს ნავთობი და საქართველოს მანგანუმი - ლენინი, 1921 წ".

საბჭოთა წლებში ჭიათურა მანგანუმით ამარაგებდა მთელი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ფოლადის მწარმოებელ ქარხნებს. წლების განმავლობაში მანგანუმის ინტენსიური მოპოვების მიუხედავად, ღლესაც, სხვადასხვა ექსპერტული შეფასებით, ჭიათურაში მანგანუმის

ერთ-ერთი ყველაზე დიდი მარაგია ევროპაში და დაახლოებით 215 მილიონ ტონას შეადგენს.

ჭიათურმანგანუმი

1990 წლიდან მანგანუმის მოპოვება მკვეთრად შემცირდა, განსაკუთრებით 1996-1998 წლებში. 1993 წელს საწარმოო გაერთიანება "ჭიათურმანგანუმის" ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმი". "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზებისა და რეაბილიტაციის არაერთი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ჭიათურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით 2005 წელს გაიხსნა საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოება. აღსანიშნავია, ჭიათურმანგანუმის გაკოტრების შედეგად საწარმო გათავისუფლდა მთელი რიგი ვადლებულებებისან, მათ შორის, გარემოზე შეუქცევად უარყოფით ზემოქმედებაზე და მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობისაგან.

2006 წლის 11 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ჩატარებული აუქციონის შედეგად, ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებასთან ერთად სს "ჭიათურმანგანუმის" აქტივებიც გაიყიდა. აუქციონში გაიმარჯვა ვაჭრობის ერთადერთმა მონაწილემ - „ჯორჯიან მანგანუმ ჰოლდინგ ლიმიტედმა“, რომელიც მანამდე ვარციხის ჰიდროელექტროსადგულების კასკადის და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მფლობელი გახდა.

გარიგების გაფორმებისას, „ჯორჯიან მანგანუმ ჰოლდინგ ლიმიტედი“ საკმაოდ ცნობილი ბრიტანული კომპანიის სტემკორის¹ შვილობილი კომპანია იყო. 2006 წლის ბოლოსთვის სტემკორმა ჰოლდინგის 75% უკრაინულ „პრივატ ჯგუფს“ მიყიდა. 2013 წელს „პრივატ“ ჯგუფმა „ჯორჯიან მანგანუმი“ (ყოფილი ჭიათურმანგანუმი და ზესტაფონის ფერო) და „ჯორჯიან მანგანუმის“ საკუთრებაში არსებული ვარციხეჭესების კასკადი თავის ამერიკულ ჰოლდინგზე Georgia American Alloys-ზე გადააფორმა²; თუმცა, ქართულ საზოგადოებას ეს ფაქტი გააცნეს, როგორც საწარმოებში „ახალი მენეჯმენტის მოსვლა“.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა

ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელმა საწარმომ გაცილებით ადრე დაიწყო საქმიანობა, ვიდრე ძალაში შევიდოდა "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლითაც შემოღებულ იქნა გარემოსდაცვითი ნებართვა; ამიტომ, ათწლეულების განმავლობაში სს "ჭიათურმანგანუმი" ოპერირებდა გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე. სს "ჭიათურმანგანუმზე" გაცემული იყო მხოლოდ წიაღისეულის სარგებლობის ლიცენზია, რომელშიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული წიაღისეულის სარგებლობის ლიცენზირების უწყებათშორისო ექსპერტთა საბჭოს გადაწყვეტილებით, პირობების შესრულების მიხედვით, გარკვეული ცვლილებები შედიოდა. სს "ჭიათურმანგანუმის" საქმიანობის გარემოსდაცვითი

¹ <http://www.stemcor.com/>

² Підконтрольна група "Приват" Georgian Manganese відновлює каскад "Варцихе ГЕС", Інтерфакс, 2013-08-09

კანონდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი წლების განმავლობაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რაც თვალნათლივ აისახა ჭიათურის გარემოს მდგომარეობაზე.

2007 წელს მიღებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის³ თანახმად, „ჭიათურმანგანუმს“, როგორც სუბიექტს, რომლის საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიური ექსპერტიზას და რომლის განხორციელებაც დაწყებულია „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, 2009 წლის 1 იანვრამდე უნდა აეღო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ნებართვის მისაღებად საწარმოს უნდა წარედგინა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი (ეკოლოგიური აუდიტი), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმა.

შპს „ჯორჯიან მანგანუმის“ მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარდგენილი ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისთვის ჩატარებული ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად, 2009 წლის 26 თებერვალს მომზადდა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა დასაშვებია იყო მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში წარმოდგენილი პირობების შესრულებაზე ვალდებულების აღების შემთხვევაში. მოგვიანებით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ შპს „ჯორჯიან მანგანუმს“ გადასცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა⁴, რომლითაც საწარმოს ხელმძღვანელობას დაევალა არაერთი ღონისძიების უპირობო შესრულება.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (და შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვით) დაწესებულ პირობებს, რომელიც ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს იმის შესახებ, თუ რა სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა საწარმო ნებართვის გაცემისას (სამწუხაროდ, სიტუაცია მნიშვნელოვანად არ შეცვლილა დღემდე).

საწარმოს ხელმძღვანელობას უნდა უზრუნველყო შემდეგი ღონისძიებების შესრულება:

1. უსაფრთხოების, ჯანდაცვის და გარემოს დაცვის მართვის გეგმის შემუშავება და საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმება;
2. კომბინატის მიმდინარე საქმიანობის პროცესში გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა 2009 წლის და 2009-2015 წლების პერსპექტიული გეგმების მომზადება;
3. კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის მომზადება და საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმება;
4. ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმება;

³ 22-ე მუხლი

⁴ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის (გიორგი ხაჩიძის) 2009 წლის 9 მარტის ბრძანება #ი-151 „შპს „ჯორჯიან მანგანუმზე“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“

5. კომბინატის სანარმოო ობიექტებზე დანერგილი იქნას ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი, რისთვისაც ყველა ობიექტი უზრუნველყოფილი იქნას სათანადო მარკირების და ფერის, საჭირო რაოდენობის ჰერმეტიკულსახურავიანი კონტეინერებით;
6. სანარმოო ნავთობპროდუქტების ნარჩენების, გამოყენებული ზეთების და ნავთობით დაბინძურებულ ნებისმიერი ნარჩენების, ან სხვა სახიფათო ნარჩენების შესაგროვებლად გამოყოფილი იქნას სპეციალური სათავსი. სახიფათო ნარჩენების კომბინატის ტერიტორიიდან გატანა და მუდმივი განთავსება მოხდეს ამ საქმიანობაზე სათანადო ლიცენზიის მქონე კონტრაქტორის მიერ;
7. უზრუნველყოფილი იქნას კომბინატის ბალანსზე არსებული ტრანსფორმატორების სატრანსფორმატორო ზეთებში პოლიქლორირებული ბიფენოლების შემცველობის კონტროლი და ინფორმაცია წარდგენილი იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში;
8. ავტოსატრანსპორტო სანარმოს სანარმოო-სანიღვრე წყლების შემკრები სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა;
9. გამამდიდრებელ ფაბრიკებთან სანარმოო-ჩამდინარე წყლების ლოკალური სალექარების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება და განხორციელება;
10. მდ. ყვირილას დაბინძურების აღკვეთის მიზნით ცენტრალური გამწმენდი ნაგებობის და შლამსადენების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება და განხორციელება უახლოეს ორ წელიწადში;
11. ჩამდინარე და ზედაპირული წყლის ობიექტების წყლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით ორგანიზებული იქნას ეკოლოგიური ლაბორატორიის შექმნა და სათანადო შტატი და ხელსაწყო-დანადგარებით აღჭურვა;
12. აგლომერატის სანაყაროდან მდინარე ყვირილაში დასაწყობებული აგლომერატის მოხვედრის აღკვეთის მიზნით სანაყაროს პერიმეტრზე წყალამრიდი არხების მოწყობა, ხოლო მდ. ყვირილას მხრიდან დამცავი კედლის მოწყობა;
13. ჩამდინარე და ზედაპირული წყლის ობიექტების წყლებში შენონილი ნაწილაკების და მანგანუმის შემცველობის მონიტორინგის წარმოება;
14. კომბინატის ყველა სანარმოო ობიექტზე მომსახურე პერსონალის საყოფაცხოვრებო სათავსების სარემონტო სამუშაოების ჩატარება და საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით უზრუნველყოფა;
15. მომსახურე პერსონალის მომარაგება სამი ცვლა სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
16. მომსახურე პერსონალისათვის პროფესიული უსაფრთხოების და გარემოსდაცვით საკითხებზე სწავლების და ტესტირების ჩატარება 6 თვეში ერთხელ;
17. ყველა სამუშაო ადგილზე პროფესიული უსაფრთხოების გამაფრხილებელი ნიშნების განთავსება;
18. მომსახურე პერსონალის მიერ სპეცტანსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებაზე სისტემატური ზედამხედველობა;
19. მომსახურე პერსონალის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ორგანიზაცია;
20. სამუშაო ადგილებზე სათანადო მიკროკლიმატის უზრუნველყოფის მიზნით სანარმოო კორპუსების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება და სავენტილაციო სისტემების დამონტაჟება;

21. საწარმოო კორპუსებში არსებულ მბრუნავი დანადგარების დამცავი შემოღობვის მოწყობა და სათანადო გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება.
22. ფაბრიკების „ამფ“-ს და „ცმფ-2“-ის ლაბორატორიებში არსებული მანგანუმის ავტომატური კონცენტრატორში “ყვირილა“-ს კომბინატის ტერიტორიიდან გატანა ან გაუვნებლობა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან წინასწარ შეთანხმებული გეგმის-პირობების შესაბამისად;
23. დამუშავდეს ფაბრიკა „25“-ის ლიკვიდაციის სამუშაოების პროექტი და შეთანხმდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებთან;
24. უზრუნველყოფილ იქნას ტექნიკური წყალმომარაგების სათაო ნაგებობებზე არსებული სალექარების განმენდა და ნალექის განთავსების საკითხი შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან;
25. კარიერების დამუშავებისათვის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მომზადდეს რეკულტივაციის პროექტები და უზრუნველყოფილი იქნას პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება;
26. ყველა ზემოთაღნიშნული გეგმა 2009 წლის ბოლომდე წარდგენილ იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.“

მიუხედავად იმისა, რომ ნებართვით „ჯორჯიან მანგანუმს“ ზემოთ მოყვანილი პირობების „უპირობოდ შესრულება“ დაევალა, ნებართვის მოთხოვნის შესრულება დღემდე ვერ, თუ არ ხდება.

რა გაკეთდა მდგომარეობის გამოსასწორებლად?

მას შემდეგ რაც 2013 წელს „პრივატ“ ჯგუფმა „ჯორჯიან მანგანუმში“ თავის ამერიკულ ჰოლდინგზე Georgia American Alloys-ზე გადააფორმა, თითქოსდა „ახალმა მენეჯმენტმა“ ყველაფერი ცუდი „ძველ მენეჯმენტს“ გადააბრალა და პრობლემების მოგვარების პირობა დადო: „ჩვენი ახალი მენეჯმენტის მიზანია, რომ შეეცალოთ გარემოზე მავნე ზეგავლენა და ერთ-ერთი, რასაც ვაკეთებთ უკვე, რაც უკვე დაწყებული პროცესია, ახალი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობაა, რომელიც 2016 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს. ეს არის კომპანიისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტი, 20 მილიონ დოლარიან ინვესტიციაზეა აქ საუბარი, რომელსაც ახორციელებს გერმანული კომპანია All Minerals-ი, ეს ფაქტობრივად გამოიხატავს მომავალში მდინარე ყვირილის დაბინძურებას, ყოველ შემთხვევაში „ჯორჯიან მანგანუმის“ მხრიდან“⁵.

„მდინარე ყვირილას დაბინძურება, რომელიც ისტორიულად, გასული ასი წლის მანძილზე დაკავშირებულია სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის საქმიანობასთან და არაა ბოლო წლების პრობლემა, უახლოეს პერიოდში აღმოფხვრილი იქნება. პირველად "ჯორჯიან ემერიქენ ელოიზის" მენეჯმენტში მოსვლის შემდეგ დაიგეგმა "ჯორჯიან მანგანუმისთვის" ახალი სამთო გამამდიდრებელი კომპლექსის მშენებლობა, რომლის საინვესტიციო ღირებულება 40 მილიონ ლარს აღემატება, მადნის დახურული გადამუშავების ციკლს წარმოადგენს და გამოიხატავს მდინარე ყვირილის

⁵ „ჭიათურა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე“, 03.06.2015

შემდგომ დაბინძურებას. აღნიშნულ საწარმოს პროექტირებაზე მუშაობა დასრულებულია გერმანულ ტექნოლოგებთან ერთად და უახლესი სიტყვაა სამთო-გამამდიდრებელი წარმოების სფეროში. მისი ექსპლატაციაში გაშვება დაგეგმილია 2016 წელს⁶.

სინამდვილეში, „ახალი მენეჯმენტის“ დაპირება დაპირებად დარჩა, ხოლო კომპანიის მიერ „გარემოს დასაცავად“ განეულ ძალისხმევაზე კარგად მეტყველებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაცია⁷, რომლის თანახმადაც, 2013-2014 წლებში შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ საქმიანობის შედეგად (როგორც ლიცენზიის ფარგლებში წიაღისეულობის, ისე გამამდიდრებელი საწარმოს მუშაობის შედეგად) **გარემოსთვის მიყენებული ზიანმა 357,364,708 ლარი** შედგინა, აქედან:

- გარემოზე ზემოქმედების **ნებართვის პირობების** შეუსრულებლობა, მათ შორის არ განხორციელდა გამამდიდრებელი ფაბრიკის საწარმოო ჩამდინარე წყლების ლოკალური გამწმენდების მოწყობა. დაბინძურებული წყლები გაუწმენდავად ჩაედინება მდ. ყვირილაში - 30 799 860 ლარი;
- **ლიცენზიის** კონტრუმი (რგანის მადარო) შემავალ სახელმწიფო ტყის ფონდში ხე-ტყის უკანონო ჭრა 2,3კა-ზე მოთხრილი ხე-ტყე - 158 832 ლარი;
- **ლიცენზიის** ფარგლებში (პერევი, რგანი, ითხვისი, ზედა ითხვისი) მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას მიწის (ნიადაგის) დეგრადაცია - 2 079 582 ლარი.
- **ლიცენზიით** სარგებლობისას მიწის ნაყოფიერი ფენის უკანონო მოხსნის და ნიადაგის დეგრადაციის, მდინარის დაბინძურების ფაქტი - 324 326 434 ლარი;

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთ - ცენტრალური სამმართველოს უფლებამოსილმა პირებმა გადაამოწმეს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის 2013 წლის 6 მარტის ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილ ვადებში შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-ს მიერ გამამდიდრებელი საწარმოს გარემოზე ზემოქმედების **ნებართვის პირობების** შესრულების მდგომარეობა.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ ნებართვის პირობების დარღვევის გამო დაკისრებული ვალდებულებები კვლავ არ იყო შეუსრულებლი; ამიტომ 2014 წლის 7 თებერვალს

⁶ „„ჯორჯიან მანგანეზი“ ჭიათურაში კომპანიის საქმიანობის შესახებ სიუჟეტს ეხმაურება“, 18-03-2015

⁷ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში, 2013-2014 წ.წ.

კვლავ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ No002561 ოქმი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ და 36⁹ მუხლებით გათვალისწინებული დარღვევების გამო.

2014 წლის 28 თებერვალს ჭიათურის მაგისტრატმა სასამართლომ განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ No002561 ოქმი და გამოიტანა No4/28-13 დადგენილება, რომლის შესაბამისად შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ სცნო სამართალდამრღვევად და დააკისრა ჯარიმა 15 000 (ნებართვის პირობების განმეორებით დარღვევის გამო ჯარიმის გასამმაგებელი ოდენობა) ლარის ოდენობით.

აღნიშნული დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 17 სექტემბრის No5297 წერილით კომპანიას **განმეორებით განესაზღვრა გონივრული ვადები და დაუდგინდა ის ვალდებულებები**, რომელთა დაცვაც სავალდებულოა კონკრეტული ქმედების განსახორციელებლად, კერძოდ:

- დაუყოვნებლივ დაეწყო და 6 თვის ვადაში განეხორციელებინა გამამდიდრებელი ფაბრიკების სანარმლო ჩამდინარე წყლების ლოკალური გამწმენდი ნაგებობის სალექქარის მოწყობა;
- დაუყოვნებლივ დაეწყო და 6 თვის ვადაში სრულად მოეწესრიგებინა გამამდიდრებელი ფაბრიკის ყველა შლამშემსქელებლის გამართულად მუშაობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
- 3 თვის ვადაში დაესრულებინა სანარმლოს ლაბორატორიის მოწყობის სამუშაოები და უზრუნველყო მისი მუშა მდგომარეობაში მოყვანა;
- აგლომერატის სანაყაროდან მდინარე ყვირილაში დასაწყობებული აგლომერატის მოხვედრის აღკვეთის მიზნით დაუყოვნებლივ დაეწყო და 6 თვის ვადაში დაესრულებინა სანაყაროს პერიმეტრზე წყალამრიდი არხების მოწყობა, ხოლო მდ. ყვირილას მხრიდან დამცავი კედლის აგება;
- დაუყოვნებლივ დაეწყო ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ მადნის გამდიდრების ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად.

⁸ მუხლი 79³. 1. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

⁹ მუხლი 36¹. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დარღვევისათვის. 1. ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდგომ დადგენილ ვადაში ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელის მიერ სალიცენზიო ან სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული **ჯარიმის გასამმაგებას** „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. 2. გასამმაგებელი ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელის მიერ სალიცენზიო ან სანებართვო პირობები არ იქნება დაკმაყოფილებული, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

მოცემული გონივრული ვადები კომპანიის თხოვნით, სამინისტროს 2014 წლის 22 დეკემბრის No7428 წერილით თავდაპირველად გაუგრძელდა **2015 წლის 31 დეკემბრამდე**, ხოლო მოგვიანებით, ასევე, კომპანიის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სამინისტროს 2015 წლის 30 დეკემბრის No9540 წერილით გაუგრძელდა **2016 წლის 1 ივლისამდე**.

გამომდინარე იქიდან, რომ შპს „ჯორჯიან მანგანუმს“ 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კვლავ შესრულებული არ ჰქონდა ზემოაღნიშნული ვალდებულებები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, 2016 წლის 2 ივლისის კვლავ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. ოქმის საფუძველზე ამჯერად კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 45 000 ლარის ოდენობით (ანუ ერთხელ უკვე გასამმაგებული სანდისი 5000 ლარიანი ჯარიმის, კვლავ გასამმაგებული ოდენობა).

სამინისტროს განმარტებით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თუ ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად ნებართვის მფლობელის მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობების შესრულება, ნებართვის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაუქმების შესახებ“. თუმცა, სამინისტრო იქვე მიუთითებს, რომ „ამასთან, მოცემული მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად „თუ ნებართვის გაუქმებამ უფრო მეტი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს, ვიდრე ნებართვის მოქმედების გაგრძელებამ, ან არსობრივად შეუძლებელია მისი მოქმედების შეჩერება, ნებართვის გამცემი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ნებართვის მფლობელისათვის მის მიერ დადგენილი პირობების დაცვით სანებართვო ქმედების განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს დამატებითი სანებართვო პირობების შესრულება“. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს გარემოსა და უნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 05 ივლისის Noი-334 ბრძანების შესაბამისად, შპს „ჯორჯიან მანგანუმს“ მიენიჭა სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება და ზემოაღნიშნული პირობების შესასრულებლად განესაზღვრა **ვადა 2017 წლის 31 დეკემბრამდე**¹⁰.

ამრიგად, შპს „ჯორჯიან მანგანუმს“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვით დადგენილი პირობების შესრულებისათვის დაწესებული „გონივრული ვადა“ 2013 წლის მარტიდან დღემდე 4-ჯერ გადაუვადდა; რაც სანარმოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისათვის ჯანმრთელობისა და ზოგ შემთხვევაში, სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ გარემოში ცხოვრების ფასად, ხოლო კომპანიას მისთვის მიზერული ჯარიმის ფასად დაუჯდა.

¹⁰ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2016 წლის 10 აგვისტოს პასუხი მწვანე ალტერნატივას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე.

დასკვნა

2014 წლიდან ჭიათურის გამამდიდრებელ საწარმოსთან მიმართებაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის და კონტროლის თვალსაზრისით მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ვინაიდან მანამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო უბრალოდ თავს არიდებდა საწარმოში შესვლას. ფაქტიურად, საწარმო, თავისი არსებობის განმავლობაში, პირველად 2014 წელს შემოწმდა. ამის მიუხედავად, დაუძლეველ წინააღმდეგობად რჩება კანონის მოთხოვნებისა და განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად საწარმოს მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესრულება.

კომპანია ვალდებულებების შეუსრულებლობის გასამართლებლად ყოველ ჯერზე წარმატებით იყენებს საქართველოში მსხვილი დამბინძურებლების მიერ უკვე კარგად აპრობირებულ - ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებით სპეკულირების ტექნიკას; ხოლო სახელმწიფო უწყებები არ იწუხებენ თავს მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზისა და გამოსავლის ძიებისათვის. მაგალითად, თუკი წლების წინ „ჯორჯიან მანგანუმის“ მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმო ერთადერთი იყო რეგიონში და საწარმოს გაჩერება რეგიონის სტაგნაციას ნიშნავდა, დღეისათვის ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში 40 მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოა, რომლებიც „ჯორჯიან მანგანუმის“ ლიცენზიის ფარგლებში მოპოვებულ მანგანუმს მოიხმარენ. ამდენად, „ჯორჯიან მანგანუმის“ მიმართ სიმკაცრის გამოჩენა და ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა, ნაკლებად შესაძლებელია გადაიზარდოს იმ კატასტროფაში, რომელსაც კომპანია აღწერს ხოლმე ვალდებულებების გადავადების მოთხოვნის წერილებში.

ასევე, კომპანიის მიმართ განსხვავებული მიდგომისა და გადამეტებული ლოიალობის მიზეზებზე მსჯელობისას, არ არის გამოსარიცხი სახელმწიფო სტრუქტურებში ძლიერი მფარველის არსებობა, რაც საწარმოსათვის გარემოს დაბინძურებისათვის პასუხისმგებლობის და სიტუაციის გამოსწორების ვალდებულების უსასრულოდ გადავადების შესაძლებლობას იძლევა.

ამდენად, სიტუაციიდან გამოსავლის ძიებისას, პირველ რიგში უნდა გამოირიცხოს ელიტური კორუფციის არსებობა; ხოლო საწარმოს მიმართ კანონდარღვევისათვის გატარებული იქნას კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გამონაკლისის დაშვების გარეშე.

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი მომზადდა მწვანე ალტერნატივას მიერ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრთან (EMC) თანამშრომლობით პროექტის „მძიმე მრეწველობა ყურადღების ცენტრში: ჭიათურის მაგალითი“ ფარგლებში, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროსთან თანამშრომლობით.



თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართ.
ტელ.: 222 38 74; 229 27 73
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG



თბილისი, 0179,
ი.აბაშიძის ქ.#12ა,
ტელ.: 223 37 06
HUMANRIGHTSEMC@GMAIL.COM
WWW.EMC.ORG.GE